

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმი

(27 დეკემბერი, 2010 წელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა** - ირინე ქურდაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);
2. **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ინფორმაციული სისტემა** - გოგა გულუა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სტატისტიკურ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი;
3. **„პროფესიული განათლების შესახებ“** საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2010 წლებისათვის) შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა - თამარ სამხარაძე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;
4. **სხდომის დახურვა** - ირინე ქურდაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე).

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ალექსანდრე კაჭარავა** - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის (სამსახურის) წარმომადგენელი;
2. **ეკატერინე გაბუნია** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
3. **ირაკლი კახნიაშვილი** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

4. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
5. აკაკი სეფერთელაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
6. გიორგი ხოდელი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
7. თეა გულიუა - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
8. შორენა ჯაფარიძე - ექსპერტი;
9. დავით მჭედლიშვილი - ქობულეთის პროფესიული კოლეჯის დირექტორი;
10. დენის დავითაშვილი - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
11. ელგუჯა მელაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
12. პეტრე წურწუშია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
13. ზაზა ცირამუა - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის დირექტორი;
14. ლალი ებანოძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
15. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უფროსი;
16. ნინო ყოჩიშვილი - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი;
17. თამარ სამხარაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი;
18. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის კოორდინატორი; ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს წევრი;
19. მაკა კუდელაია - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
20. ანა მჭედლიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ირინე ქურდაძე, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და სთხოვა წარმოედგინათ მოსაზრებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა დააყენა წინადადება დღის წესრიგის ცვლილებებთან დაკავშირებით. მისი აზრით, აუცილებელია თემატურმა ჯგუფებმა საბჭოს სხდომებზე წარმოადგინონ ანგარიშები 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ასევე, უნდა შემუშავდეს საბჭოსა და მისი თემატური ჯგუფების 2011 წლის სამუშაო გეგმა; საბჭოს წევრები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. დენის დავითაშვილმა კიდევ ერთხელ დააყენა ზოგიერთი ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლების აღდგენის საკითხი; მოითხოვა, რომ ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის საფუძვლიან გადამუშავებას უზრუნველყოფს და რომლის კოორდინაციასაც პროფესიული კავშირების წარმომადგენლები განახორციელებენ; ასევე, საბჭოს წევრებს შესთავაზა კიდევ ერთი თემატური ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრაზე და რომელსაც უხელმძღვანელებს სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ბ-ნი პეტრე წურწუმიძე.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა დააყენა წინადადება სხდომის დღის წესრიგიდან მე-3 საკითხის ამოღების შესახებ. მან აღნიშნა, რომ 2010 წლის 10 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პროფესიული განათლების შუალედურ სტრატეგიაში ტექნიკური ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც გამოწვეული იყო საკანონმდებლო ცვლილებებით. ბ-ნი დენის დავითაშვილის აზრით საბჭოს სამდივნომ ეს გადაწყვეტილება არ შეასრულა და პროექტი, რომელსაც გვთავაზობს არა მხოლოდ ტექნიკურად, არამედ შინაარსობრივადაც შეცვლილია ისე, რომ არ ყოფილა გათვალისწინებული დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სოციალური პარტნიორების მოსაზრებები.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა ისაუბრა 13 დეკემბერს გამართული ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის შესახებ და უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან შეხვედრის ფორმატიდან გამომდინარე, სხდომის მონაწილეებს არ ჰქონდათ კომენტარების გაკეთების საშუალება, რის გამოც სხდომის დასრულებამდე დატოვა დარბაზი. აღნიშნულ შენიშვნას არ დაეთანხმა ბ-ნი ელგუჯა მელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სამინისტროსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ანგარიშების

წარმოდგენისა და ღონისძიების ძირითადი ნაწილის დასრულების შემდეგ, ყველას მიეცა საშუალება საკუთარი მოსაზრების გამოსახატად.

ბ-ნი დენის დავითაშვილის შენიშვნებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ქ-ნმა ირინე ქურდაძემ. მისი აზრით, აუცილებელია ეროვნულმა პროფესიულმა საბჭომ მოისმინოს თემატური ჯგუფების ანგარიშები, მაგრამ აუცილებელი არ არის ამ ანგარიშების წარმოდგენა თემატურ ჯგუფებს მიმდინარე წელს მოვთხოვით, მოხსენებების მოსმენა შესაძლებელია იანვრის ან თებერვლის სხდომებზე.

დალიკვიდირებული კოლეჯების აღდგენის საკითხის საბჭოს წინაშე განხილვა ქ-ნმა ირინე ქურდაძემ მიზანშეწონილად არ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ეს თემა წინა სხდომებზეც გაჟღერდა, მაგრამ მის განხილვას საბჭოს წევრებმა მხარი არ დაუჭირეს.

ქ-ნი ირინე ქურდაძე არ დაეთანხმა დენის დავითაშვილის შენიშვნას საბჭოს გაფართოებული სხდომის ფორმატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შეხვედრის ყველა მონაწილეს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებები.

ახალი თემატური ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით ირინე ქურდაძემ აღნიშნა, რომ თუ საბჭო ამის საჭიროებას ხედავს, მიზანშეწონილი იქნება ჩამოყალიბდეს თემატური ჯგუფი საკანონმდებლო მიმართულებით, ხოლო რაც შეეხება შუალედური სტრატეგიის გადამუშავებას, საბჭოს სამდივნომ ჯერ კიდევ ოქტომბერში საბჭოს ყველა წევრს გაუგზავნა კორექტირებული ვერსია და სთხოვა აქტიურად ჩართულიყვნენ პროცესში. ამდენად, პროექტი, რომლის წარმოდგენაც დღის წესრიგით არის გათვალისწინებული, უცხო არ უნდა იყოს საბჭოს წევრებისათვის.

ბატონმა დენის დავითაშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა დატოვეს პროფკავშირები. დავითაშვილის თქმით, იგი ფლობს ინფორმაციას, რომ სამინისტრო აპირებს ჩამოაყალიბოს ახალი პროფკავშირი. ამასთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთეს ქ-ნმა ირინე ქურდაძემ და ბ-ნმა აკაკი სეფერთელაძემ. მათი განცხადებით სამინისტრო ძალიან შორს დგას პროფკავშირების საქმიანობისაგან და არ აპირებს ჩაერიოს პროფესიული სასწავლებლების გადაწყვეტილებებში. ამასთანავე, როცა ასეთი ბრალდებები ისმის, უნდა არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებებიც.

ვინაიდან საბჭოს სხვა წევრებისგან დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნები არ არსებობდა, ქ-ნმა ირინე ქურდაძემ სიტყვა გადასცა ბატონ გოგა გულუას, რომელიც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბების თემატურ ჯგუფს. პრეზენტაციის დაწყებამდე ქალბატონმა ლალი ებანოიძემ აღნიშნა, რომ თემატური ჯგუფები უკვე გადავიდნენ

ანგარიშების წარდგენის რეჟიმზე და ბატონი გოგა, წარმოადგენს სწორედ თემატური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

ბატონმა გოგა გულუამ ისაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაცემთა ბაზის სტრუქტურაზე, იმ ძირითად მონაცემებზე, რომელსაც უნდა შეიცავდეს ბაზა: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური და ადამიანური რესურსები, საგანმანათლებლო პროგრამები, საკვალიფიკაციო გამოცდები და სხვ. ბ-ნმა გოგა გულუამ საბჭოს წევრებს გააცნო სქემა, თუ როგორ მოხდება მონაცემთა შეკრება და დამუშავება, როგორ იქნება უზრუნველყოფილი სტატისტიკური მონაცემების საჯაროობა და ა.შ.

ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა იკითხა, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი მონაცემთა ბაზაში ახალი და გასული წლების ინფორმაციისა და სტატისტიკის მოძიება, რაზეც ბ-ნმა გოგა გულუამ უპასუხა, რომ პროგრამაში ეტაპობრივად მოხდება ინფორმაციის განთავსება - საწყის ეტაპზე შეიტანენ ახალ ინფორმაციას, ხოლო შემდეგ - გასული წლების მონაცემებს. გოგა გულუამ აღნიშნა, რომ მომხმარებელს შეეძლება არა მარტო სტატისტიკის მოძიება, არამედ ძველი და ახალი მონაცემების შედარებაც.

პროფესიული საბჭოს დამოუკიდებელი ექსპერტის, ქ-ნი შორენა ჯაფარიძის აზრით, კარგი იქნება თუ მომხმარებელს შეეძლება ინფორმაციის მიღება, როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.

ქალბატონი ირინე ქურდაძის თქმით სამინისტრო ფოკუსირებულია საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და ვერ აიძულებს კერძო დაწესებულებებს რომ ეს ინფორმაცია სისტემატურად მოაწოდონ სამინისტროს. თუმცა, თუ კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან დაინტერესება იქნება, სამინისტრო მხოლოდ მიესალმება მათ აქტიურობას, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია გქონდეს ზუსტი სტატისტიკა წლების მიხედვით და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის.

ქ-ნმა თამარ სამხარაძემ წამრმოადგინა პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგიის ცვლილებების პროექტი და აღნიშნა, რომ ყველა ცვლილება გამომდინარეობს კანონიდან, უცვლელია სტრატეგიის მიზნები, ძირითადი პრინციპები და შედეგები 2012 წლისათვის, იცვლება მხოლოდ მექანიზმები, რადგან კანონმა შემოგვთავაზა უფრო ქმედითი საშუალებები სტრატეგიის მიზნების მისაღწევად. საუბარი შეეხეო ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხის“ თემას და აღინიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე (პროფესიული განათლების 5 საფეხუროვანი სისტემა,

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა) „საგანმანათლებლო ჩიხი“ აღარ წარმოადგენს სისტემის მთავარ პრობლემას. აღინიშნა, რომ წინმსწრები განათლების აღიარების მექანიზმებად აღარ მოიაზრება ატესტაცია, რადგან ახალი წესის შესაბამისად, არაფორმალური განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება. სტრატეგიიდან ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების ნაწილი, რადგან კანონი აღარ ითვალისწინებს საგანმანათლებლო სტანდარტების არსებობას; ცვლილებები შეეხო ხარისხის განვითარების საკითხებს და სტრატეგიის ტექსტში გაჩნდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმები; ამოღებულ იქნა სპეციალური პროგრამების განხორციელება სოციალურად დაუცველების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის, რადგან სამინისტროს ახალი ხედვა ითვალისწინებს აღნიშნული ჯგუფების ინტეგრაციას საერთოეროვნულ პროგრამებში და არა სპეციალური პროგრამების განხორციელებას და სხვ.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ყველა ცვლილება, რომელიც წარმოადგენილია გამომდინარეობს კანონმდებლობიდან და რადგან სტრატეგიის ყველაზე პრობლემურ ნაწილად განიხილავენ ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხს“, უნდა ითქვას, რომ ევროპული განათლების ფონდი „ჩიხს“ უწოდებდა საგანმანათლებლო სივრცეში საფეხურების არარსებობას და შესაბამისად, ერთი საფეხურიდან მერეზე გადასვლის შესაძლებლობის/მექანიზმების არარსებობას. დღეს საქართველოს განათლების სისტემას უკვე აქვს კვალიფიკაციების ჩარჩო, შესაბამისი საფეხურებით, რომელიც სრულად მიესადაგება ევროპულ მოდელს. ამდენად, სრულიად მართებულია აზრი, რომ ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“ აღარ წარმოადგენს პროფესიული განათლების სისტემის მთავარ პრობლემას.

ბ-ნი დავით კერესელიძის აზრით, უმჯობესი იქნება თუ სტრატეგიაში „სსიპ“-ის ნაცვლად გამოვიყენებთ ტერმინს „**სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული**“, რადგან შეიძლება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფორმა შეიცვალოს და ზოგადი დასახელების შემთხვევაში, აღარ მოგვიწევს სტრატეგიაში დამატებითი ცვლილებების შეტანა.

ბ-ნმა ზაზა ცირამუამ დასხვა კითხვა, შეუძლია თუ არა მსურველს პარალელურად ისწავლოს სკოლასა და პროფესიულ კოლეჯში, რაზეც ბ-ნმა დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ცალსახა აკრძალვა არ არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმაც და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც ისეა აგებული, რომ მოითხოვს მაქსიმალურ

საათობრივ დატვირთვას, ფაქტობრივად შეუძლებელია ერთდროულად ორივე საფეხურის (ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული) პროგრამების წარმატებით დაძლევა.

ქ-ნი ირინე ქურდაძის აზრით, უმჯობესი იქნება ის საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო ცვლილებებით სრულად ან ნაწილობრივ მაინც დარეგულირდა, სტრატეგიის ტექსტიდან კი არ უნდა გაქრეს, არამედ ახალი ხედვით უნდა იქნას ფორმულირებული. კარგად უნდა იყოს ახსნილი თუ რა საშუალებები გაჩნდა ახალი კანონმდებლობით. სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს ის ნაბიჯები რომლებიც უკვე გადაიდგა და ეხმარება „ჩიხის აღმოფხვრას“ ან სხვა პრობლემის მოგვარებას.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მომდევნო სხდომებზე თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა უზრუნველყონ 2010 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარმოდგენა;
2. შემუშავდეს და დამტკიცდეს ეროვნული პროფესიული საბჭოს 2011 წლის სამოქმედო გეგმა;
3. საბჭოს წევრებმა 2011 წლის 10 იანვრამდე უზრუნველყონ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის ცვლილებების პროექტის განხილვა და მოსაზრებების წარმოდგენა პროფესიული საბჭოს სამდივნოში.

სხდომის თავმჯდომარე:

ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:

თამარ სამხარაძე